უწმინდესი პატრიარქი კირილე: ბოროტი ძალები მართლმადიდებელი ეკლესიების ერთობას არღვევენ

2021 წლის 28 აგვისტოს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე, წირვის დასრულებისას, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქი კირილე თავის პირველიერარქულ სიტყვაში მსოფლიო მართლმადიდებლობაში არსებულ სიტუაციას შეეხო.

„დაე შეგვეწიოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, რათა შევინარჩუნოთ მართლმადიდებელი ეკლესიების ერთობა, რომელიც დღეს დარღვეულია ბოროტი ძალებისგან, – აღნიშნა მისმა უწმინდესობამ. – ჩვენ ვიცით, რა ხდება დღეს მსოფლიო მართლმადიდებლობაში, როგორ იყენებენ ეს ძალები უკრაინაში არსებულ უმძიმეს მდგომარეობას, ცდილობენ დაარღვიონ მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობა და რაღაცას ახერხებენ კიდეც. ამის ნათელი მაგალითია ცოდვიანი და ნაკლებად ასახსნელი ჩასვლა კონსტანტინეპოლის პატრიარქისა კიევში და მისი თანამსახურება განხეთქილებაში მყოფებთან“. როგორც უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ აღნიშნა, ეს მოვლენა „კიდევ ერთხელ გვიმოწმებს იმ უმძიმეს გზას,

რომელზეც მიდის ქრისტეს ეკლესია“.

„მაგრამ გვჯერა, რომ, გაყოფებისა და განხეთქილებების მიუხედავად, ღვთის მადლით ეკლესია შენარჩუნდება და თავის ერთგულ შვილებს მიიყვანს ისტორიის დასასრულამდე. ღვთის მადლის ამ ურყევი ძალის იმედზე, რომელიც ეკლესიაში მკვიდრობს, დაფუძნებულია ჩვენი სასოება, რომ შეგვწევს უნარი, პირად ცხოვრებაში გადავლახოთ ცოდვა და სიცრუე და ვესწრაფოთ ხსნას, რომელიც გვებოძა ჩვენ იესო ქრისტეში, რომელიც ამქვეყნად თავისი ყოვლადწმიდა დედის ქალწულ ღვთისმშობლის მეშვეობით მოვიდა, რომლის დიდებულ მიძინებასაც ჩვენ საზეიმოდ განვადიდებთ“, – რეზიუმე გააკეთა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87929/